

შეგანილია ცვლილებები
სემეკ-ის
11/29/2001 N 13
05/07/2002 N 8
დადგენილებებით

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
120.013.003.832

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის (სემეკ)
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 6
1999 წლის 8 სექტემბერი ქ. თბილისი

"ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის
წესისა და მეთოდოლოგიის" დამტკიცების
შესახებ

"ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს "ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის წესი და მეთოდოლოგია".
2. დადგენილება ამოქმედდეს "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" მისი გამოქვეყნების დღიდან.

თავმჯდომარე

ელ. ერისთავი

ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის წესი
და მეთოდოლოგია

შესავალი

საქართველოს კანონი "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ) ანიჭებს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების (გადაცემის), განაწილების და მიწოდების სფეროში რეგულირების ფუნქციას.

ამჟამად ქვეყნის ბუნებრივი გაზის მეურნეობის ძირითადი ფონდები და ინფრასტრუქტურა უაღრესად რთულ პირობებში და მცირე სიმძლავრით ფუნქციონირებს, ამიტომ სემეკ-ს საბაზრო ეკონომიკურ პრინციპებზე გარდამავალ პერიოდში გაზის სექტორის რეგულირების პროექტების მხარდაჭერასთან ერთად ეკისრება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ბუნებრივი გაზის გარიფების ფორმირების ყველა ეტაპზე სემეკ-ის მიერ შემუშავებულმა საგარიფო სისტემამ უნდა შექმნას ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების სისტემებში ხელსაყრელი სანვესტიციო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს გაზის მეურნეობის არა მარტო აღდგენას, არამედ მის პესრექტიულ განვითარებასაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ სექტორში მიმდინარე პრივატიზაციისადმი მხარდაჭერა და ხელშეწყობა, გაზის მომხმარებელთა და ლიცენზიანტთა დაცვა მონოპოლიური ფასებისაგან, კონკურენტული ბაზრის ფორმირება. გარიფები უნდა იყოს სამართლიანი, მის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს

მომხმარებელთა არცერთი კატეგორიის და ლიცენზიატთა შორის პირდაპირი ან ჯვარედინი სუბსიდირება.

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

1. ამ დოკუმენტის მიზანია "ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ბუნებრივი გაზის გარიყების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რომელიც გამოყენებული იქნება ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების გარიყების დასადაგენად.

2. გარიყების მეთოდოლოგია (შემდგომში მეთოდოლოგია) ითვალისწინებს საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის დღევანდელ ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას. უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის გრანსპორტირების, განაწილების და მიწოდების განსახორციელებლად გაწეული ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების მუსგ ასახვას გარიყების სისტემებში.

მუხლი 2. მეთოდოლოგიის მოქმედების სფერო

1. მეთოდოლოგია ვრცელდება ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებზე; უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის ღარგის ფუნქციონირებასა და განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

2. მეთოდოლოგია არ ვრცელდება ბუნებრივი გაზის საძიებო სამუშაოებზე, მოპოვებაზე, გადამუშავებასა და დაგროვებაზე, ბუნებრივი გაზის მწარმოებელსა და მიწოდების ლიცენზიატს შორის ურთიერთობებზე, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გრანზიგზე საქართველოს ტერიტორიის გავლით.

3. ლიცენზიატების მომსახურების ზონა და შესაბამისი გარიყების მოქმედების სფერო დგინდება სემეკ-ის მიერ.

მუხლი 3. გამოყენებულ ტერმინთა განმარტებაანი

ამ მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა. "ამონაგები" - ინვესტორის წლიური შემოსავალი მის მირ ინვესტირებულ კაპიტალზე.

ბ. "გადასახადი" - ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავალდებულო შენაგანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებლი, აპრაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე;

გ. "გაზის გამანაწილებელი სადგური" - გამსადენის ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებელთათვის მიწოდებამდე გაზის წნევის დაწევის, გაწმენდის, ოლორიზაციისა (სპეციალური სუნის მიცემის) და ხარჯვის აღრიცხვისათვის;

დ. "გამმარეგულირებელი პუნქტი" - გამანაწილებელი ქსელის ნაგებობა, რომელიც მაღალი ან საშუალო წნევის გამსადენიდან მიღებული გაზის წნევას დაწევს საშუალო ან დაბალ წნევამდე და მიაწოდებს შესაბამის საშუალო ან დაბალი წნევის გამსადენში;

"გამანაწილებელი ქსელი" - ქალაქებისა და/ან დასახლებული პუნქტების ბუნებრივი გაზის მომარაგების სისტემა, რომელიც მოიცავს 1,2-0,6-0,3-0,005 მპა წნევის გამსადენებს;

ვ. "განაწილების ლიცენზია" - სემეკ-ის მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს ბუნებრივი გაზი ერთი ან მეტი მიწოდების პუნქტიდან, ექსპლოატაცია გაუწიოს გამანაწილებელ ქსელს და გაანაწილოს ბუნებრივი გაზი

განსაზღვრული ადმინისტრაციული ან გეოგრაფიული ზონის ან კონკრეტული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში.

ბ. "განაწილების ტარიფი" - განაწილების ლიცენზიაგის მიერ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურების ფასი;

თ. "დაბალი წნევის გამსაღენი" - გამანაწილებელი ქსელის 0.005 მპა-მდე (ჩათვლით) წნევის გამსაღენი;

"დანაკარგი" - სხვაობა მიღებული და გაცემული ბუნებრივი გაზის რაოდენობებს შორის, საკუთარი საჭიროებისათვის მოხმარებული გაზის გამოკლებით;

კ. "ლიცენზიაგი" - იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელსაც აქვს სემეკ-ის მიერ "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მოქმედების განსაზღვრული ვადით გაცემული ლიცენზია გარკვეულ საქმიანობაზე;

ლ. "ლიცენზიაგის წლიური მინიმალური შემოსავალი"- 12 თვის განმავლობაში აუცილებელი შემოსავლის მთლიანი სიდიდე, რომელიც საჭიროა ლიცენზიაგის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული მინიმალური ხარჯების დასაფარავად და მიზანშეწონილი ამონაგების მისაღებად;

მ. "მაღალი წნევის გამსაღენი" - გამანაწილებელი ქსელის 0,3 მპა-ზე მეტი, 1,2 მპა-მდე (ჩათვლით) წნევის გამსაღენი;

ნ. "მიწოდების ლიცენზია" - სემეკ-ის მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს იყიდოს და გაყიდოს ბუნებრივი გაზი სხვა მიწოდების ლიცენზიაგებზე ან მომხმარებლებზე.

ო. "მიწოდების ტარიფი" - მიწოდების ლიცენზიაგების მიერ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურების ფასი;

"მომხმარებელი" - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოიხმარს ბუნებრივ გაზს საკუთარი მიზნებისათვის და არ ახდენს მის შემდგომ გაყიდვას;

ქ. "პირდაპირი მომხმარებელი" - პირი, რომელიც ბუნებრივ გაზს იღებს უშუალოდ გრანსპორტირების სისტემიდან და არ არის განაწილების ლიცენზიაგი;

რ. "რეგულირების საფასური" - თანხა, რომელსაც კანონის შესაბამისად ყოველწლიურად იხდიან ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზიანტები სემეკ-ის მიერ გაწეულ რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

ს. "საზომი სადგური" - ბუნებრივი გაზის ხარჯვის აღრიცხვის კვანძი;

ტ. "საკომპრესორო სადგური" - გაზის შეკუმშვისათვის განკუთვნილი გამსაღენის ნაგებობათა კომპლექსი;

უ. "საშუალო წნევის გამსაღენი" - გამანაწილებელი ქსელის 0,005 მპა-ზე მეტი, 0,3 მპა-მდე (ჩათვლით) წნევის გამსაღენი;

ფ. "სემეკი-ი" - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

"ტარიფები" - ფასების განაკვეთების სისტემა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშსწორება ბუნებრივ გაზზე მისი მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების სტადიებზე;

ღ. "გრანსპორტირების ლიცენზია" - სემეკ-ის მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს ექსპლუატაცია გაუწიოს გრანსპორტირების სისტემას, მიიღოს ბუნებრივი გაზი ერთი ან მეტი მიღების პუნქტიდან და განახორციელოს მისი გრანსპორტირება ერთი ან მეტი მიწოდების პუნქტამდე;

ყ. "გრანსპორტირების სისტემა" - ყველა მილსადენი, საკომპრესორო სადგური და სხვა მოწყობილობა, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის გრანსპორტირებისათვის, მუშაობს ან დაპროექტებულია 1,2 მპა-ზე მეტ წნევაზე სამუშაოდ, აკავშირებს მიღების

პუნქტს მიწოდების პუნქტთან და რომელთაც ფლობს ან მართავს ან/და ექსპლუატაციას უწევს გრანსპორტირების ლიცენზიანტი;

შ. "გრანსპორტირების გარიფი" - გრანსპორტირების ლიცენზიანტის მიერ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურების ფასი;

ჩ. "ძირითადი საშუალებები" - საგადასახადო კოდექსის მიხედვით ამორტიზაციას დაქვემდებარებული ერთ წელზე მეტი ხნის სამსახურის ვადის მქონე მატერიალური აქტივები.

თავი II. ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ძირითადი პრინციპები

მუხლი 4. მეთოდოლოგიური საფუძვლები

1. ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავების საფუძველია საქართველოს კანონი "ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ".

2. ბუნებრივი გაზის გარიფების დადგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირების, განაწილების სუბიექტებისა და მომხმარებელთა ინტერესები. თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე მოქმედმა გარიფებმა ხელი უნდა შეუწყოს სათბობ-ენერჯეტიკული რესურსების ეკონომიას, მიზანშეწონილ ურთიერთჩანაცვლებას, ენერჯეტიკული ბალანსის რაციონალიზაციას.

3. მეთოდოლოგია ეყრდნობა ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების სფეროში გაწეული მიზანშეწონილი ხარჯების სრული ანაზღაურების პრინციპს და ითვალისწინებს დარგში ფინანსური სტაბილიზაციის ინტერესებს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გარიფმა ხელი უნდა შეუწყოს ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი ფონდების ეფექტიან გამოყენებას მათი ფაქტიური დატვირთვის გათვალისწინებით.

4. ამ მეთოდოლოგიით ბუნებრივი გაზის გარიფი განისაზღვრება თითოეული ლიცენზიანტიისათვის ცალ-ცალკე.

5. ბუნებრივი გაზის მიწოდების გარიფის დადგენისათვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სემეკ-ისათვის ინფორმაციის წარდგენას გაზის მიწოდების მოცულობის, გადასახადების, შესყიდვის საფასურისა და სხვათა შესახებ;

6. საჭიროების შემთხვევაში მეთოდოლოგიაში ცვლილების შეგანა ან მეთოდოლოგიის მოქმედების შეწყვეტა ხორციელდება სემეკ-ის მიერ კანონის შესაბამისად დადგენილი წესით.

მუხლი 5. ძირითადი პრინციპები

1. ბუნებრივი გაზის გარიფების შემუშავების მეთოდოლოგიის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, მისი გამოყენება ენერჯიის სხვა სახეობის შემცველ ალტერნატიულ სათბობად, გაზის მეურნეობის სრულყოფილი რეაბილიტაცია და მისი განვითარების მიგზნით ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელშეწყობა, ჯანსაღი კონკურენციის სტიმულირება.

2. ბუნებრივი გაზის ამ მეთოდოლოგიით დადგენილი გარიფები:

ა. უნდა იცავდეს ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს და/ან სხვა ლიცენზიაგენტებს მონოპოლისტი ლიცენზიანტის მიერ თავისი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან.

ბ. შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ლიცენზიანტებს მთლიანად დაფარონ გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები და მიიღონ ამონაგების მიზანშეწონილი დონე;

გ. უნდა ითვალისწინებდეს ლიცენზიანტების ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციას, რომელიც აუცილებელია გაზის მეურნეობისა და მისი ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის ასამაღლებლად და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დ. ხელსაყრელი უნდა იყოს ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, ხელს უწყობდეს ბუნებრივი გაზის გამოყენებას, როგორც საწარმოო პროცესებში ისე საყოფაცხოვრებო მოხმარებაში.

ე. ლიცენზიანტებს უნდა აძლევდეს ლიცენზირებად საქმიანობაში ეკონომიკურად გამართლებული ხარჯების, მათ შორის რეგულირების საფასურის ანაზღაურების შესაძლებლობას.

ვ. არ უნდა ითვალისწინებდეს მომხმარებელთა ცალკეული კატეგორიებისათვის საგარიფო შეღავათების დაწესებას სხვა მომხმარებლების ან ლიცენზიანტების ხარჯზე, ამასთან უნდა ასახავდეს განსხვავებულ ღირებულებებს მოხმარების სხვადასხვა სფეროში.

3. მეთოდოლოგია ითვალისწინებს გაზის მეურნეობის მოქმედი ძირითადი საშუალებების ღირებულებას, რომელიც ინვესტორს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ჩადებულ კაპიტალზე მიზანშეწონილი ამონაგები.

4. ძირითადი საშუალებების ამონაგების გაანგარიშებისას მეთოდოლოგია ითვალისწინებს ინვესტირებასთან დაკავშირებულ რისკის ფაქტორს. ამიგომ ფონდების ამონაგები შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ვიდრე შესაბამისი საბანკო პროცენტი.

5. გარიფებთან დაკავშირებული სემეკ-ის ყველა დადგენილება და გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

თავი III . მომსახურების ღირებულების კომპონენტები

მუხლი 6. გარიფის დადგენის პრინციპები

1. ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების საფასური შედგება ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან, გადასახადებისაგან და მოგებისაგან. სემეკ-ი ლიცენზიანტებს დაუდგენს გარიფს იმის გათვალისწინებით, რომ მათ ამოიღონ ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკურად გამართლებული დანახარჯები.

2. ბუნებრივი გაზის საწარმოების მომსახურების საექსპლუატაციო დანახარჯები გაიანგარიშება შემდეგი საკალკულაციო მუხლების მიხედვით (ბუნებრივი გაზის ღირებულების გარდა):

ა. ნედლეული;

ბ. მასალები და სათადარიგო ნაწილები;

გ. საწარმოო სამუშაოები და მომსახურება, გარეშე ორგანიზაციების მომსახურების ჩათვლით (სარემონტო და სხვა სამუშაოები);

დ. საწვავი საკომპრესორო სადგურებისათვის (გრანსპორტირების ლიცენზიანტისათვის);

ე. საწვავი ყველა სახის შენობის გასათბობად;

ვ. ელექტროენერგია გამსადენების ელექტროქიმიური დაცვისათვის;

ზ. ელექტროენერგია, თბოენერგია და წყალი სამეურნეო საჭიროებისათვის;

თ. ხელფასის ფონდი დანარიცხებით;

ი. მანქანა-დანადგარების, საგრანსპორტო საშუალებების შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯები;

კ. ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხები საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმების მიხედვით;

ლ. სხვა გაუშიფრავი დანახარჯები, მათ შორის საოპერაციო იჯარის ქირა, კრედიტების პროცენტის გადახდა და სხვა (არა უმეტეს საერთო დანახარჯების 10%-ისა).

მუხლი 7. ამორტიზაცია

გარიფის გაანგარიშებისას საექსპლუატაციო ხარჯებში ამორტიზაციის თანხა განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ნორმის მიხედვით.

მუხლი 8. სარემონტო ხარჯები

მეთოდოლოგიის მიხედვით ბუნებრივი გაზის გარიფში ცალკე უნდა იქნეს ასახული სარემონტო ფონდის ხარჯები, რომელიც აიღება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

მუხლი 9. გადასახადები

ბუნებრივი გაზის გარიფში ასახულ უნდა იქნეს ყველა გადასახადი, მათ შორის მოგების გადასახადი და ღღ.

გარიფის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ შემოსავლისა და მისაღები (დასაშვები) დანახარჯების გათვალისწინებით საბალანსო მოგების სიდიდე მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ უნდა აკმაყოფილებდეს ინვესტორის მოთხოვნებს ინვესტიციებზე მიზანშეწონილი ამონაგების მისაღებად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (ღღ) ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე და იგი შეიგანება გარიფში.

გადასახადების განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

მუხლი 10. კრედიტები (სესხები)

ღროებითი ფინანსური სიძნელის დასაძლევად აღებულ მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები გაითვალისწინება საექსპლუატაციო დანახარჯებში, მაგრამ არა უმეტეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ნორმისა. გრძელვადიანი კრედიტის პროცენტები დანახარჯებში შეიგანება ანალოგიურად მოკლევადიანი კრედიტის პროცენტებისა.

მუხლი 11. ფონდების (ძირითადი საშუალებების) ამონაგები

ფონდების ამონაგები, რომელიც წარმოადგენს კაპიტალზე ამონაგებისა და კრედიტის საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილს, უნდა ითვალისწინებდეს გაწეული ინვესტიციური რისკის ფაქტორს და შეიგანება გარიფში.

ფონდების ამონაგების ზომა განისაზღვრება სემეკ-ის მიერ კონკრეტულად თითოეული ლიცენზიანგისათვის.

მუხლი 12. წახალისებითი რეგულირება

ბუნებრივი გაზის სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით სემეკ-ი უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების მიზანშეწონილი ფორმები, მათ შორის დანაკარგების შემცირებით მიღებული ეკონომია დაგოვოს საწარმოს განკარგულებაში განსაზღვრული ვადით.

თავი IV. ბუნებრივი გაზის გარიფების
გაანგარიშება

მუხლი 13. განცალკევებული გარიფები

საქართველოს ბუნებრივი გაზის მეურნეობაში სხვადასხვა საქმიანობისათვის ღებინდება სხვადასხვა გარიფები;

ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე, გრანსპორტირებაზე, განაწილებაზე და მოხმარებაზე.

მუხლი 14. მიწოდების გარიფი

მიწოდების გარიფის გაანგარიშების საფუძველია მიწოდების ლიცენზიანტის მიერ ბუნებრივი გაზის შესყიდვასთან დაკავშირებული ეკონომიკურად გამართლებული ხარჯები, რომელსაც ემატება ლიცენზიანტის მიერ გაწეული მიზანშეწონილი დანახარჯები, სადაც გათვალისწინებულია ყველა სახის გადასახადი (დღგ-ს გარდა). ამ წესით გაანგარიშებულ თვითღირებულებას ემატება კაპიტალზე ამონაგები სემეკ-ის მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით, აგრეთვე დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით. ეს თანხა იყოფა ლიცენზიანტის მიერ მიწოდებული ბუნებრივი გაზის პროგნოზულ მოცულობაზე. შედეგი წარმოადგენს მიწოდების გარიფს, ლარი /1000 მ³.

მუხლი 15. გრანსპორტირების გარიფი

გრანსპორტირების გარიფის გაანგარიშების საფუძველია გრანსპორტირების ლიცენზიანტის ეკონომიკურად გამართლებული დანახარჯები, აგრეთვე ყველა სახის გადასახადები (დღგ-ს გარდა). ამ წესით გაანგარიშებულ თვითღირებულებას ემატება კაპიტალზე ამონაგები სემეკ-ის მიერ დადგენილი ნორმის მიხედვით, აგრეთვე ღღ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით.

მიღებული თანხა იყოფა გრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის პროგნოზულ მოცულობაზე ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. შედეგად ვიღებთ გრანსპორტირების გარიფს, ლარი /1000 მ³.

მუხლი 16. პირდაპირი მომხმარებლის გარიფი

1. პირდაპირი მომხმარებლის მიერ შეძენილი ბუნებრივი გაზის საფასური გოლია მიწოდებისა და გრანსპორტირების ლიცენზიანტების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებისა. შეძენილი გაზის საფასურში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დასაშვები დანაკარგები.

2. ყველა პირდაპირი კონტრაქტი შეთანხმებულ უნდა იქნეს სემეკ-თან.

მუხლი 17. განაწილების გარიფი

ბუნებრივი გაზის განაწილების საფასური გაიანგარიშება გრანსპორტირების გარიფის მსგავსად. რამდენადაც განაწილების ლიცენზიანტი ბუნებრივ გაზს აწვდის მომხმარებელთა სამ ჯგუფს (სამრეწველო მოხმარება, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და მოსახლეობა), ამდენად აუცილებელია განაწილების ხარჯების დაყოფა მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით. ეს უნდა მოხდეს თითოეული ჯგუფისათვის მომსახურების გასაწევად საჭირო ძირითადი ფონდების ღირებულების პროპორციულად. მომხმარებელთა რამოდენიმე ჯგუფის მომსახურე ძირითადი ფონდების ღირებულება იყოფა მოხმარებული გაზის რაოდენობის პროპორციულად.

მუხლი 18. საცალო გარიფები მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით

საცალო მომხმარებლის გარიფი უნდა ასახავდეს ცალკეულ მომხმარებელთა ჯგუფის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის სრულ ღირებულებას, რომელიც შეიცავს მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების გარიფებს.

მუხლი 19. გარიფის კორექტირება

1. სავალუტო კურსის ცვლილების მიხედვით-

ხარჯებისა და შემოსავლის გაანგარიშება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). უცხო სახელმწიფოებიდან გაზის მიღებაზე ანგარიშსწორება შესაძლებელია ასევე უცხოური ვალუტით.

ლარის კურსის ცვლილება შესაბამის გავლენას მოახდენს გაზის გარიფის სიდიდებზე. გარიფის კორექტირებისათვის ლარის კურსის საანგარიშსწორებო დონე განისაზღვრება პერიოდისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის საშუალო ინდექსით. გარიფის კორექტირება ხორციელდება წლის განმავლობაში 2-ჯერ (აპრილი და ოქტომბერი), თუ ამ პერიოდში ვალუტის კურსის ცვლილება აღემატება 15%-ს. განაცხადი ამის შესახებ ლიცენზიანტს შეაქვს სემეკ-ში, სადაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში განაცხადის შეგანიდან.

2. ბუნებრივი გაზის შესყდვის ფასის ცვლილების მიხედვით-

იმ შემთხვევაში, როცა გაზის ფასის ცვლილება მეტია 15%-ზე. მოხმარების გარიფები ექვემდებარება აღნიშნული სიდიდით კორექტირებას.

მუხლი 20. გრანზიგის საფასური

"ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გაზის გრანზიგის საფასური არ ექვემდებარება სემეკ-ის მიერ რეგულირებას და განისაზღვრება დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმოებული მოლაპარაკების საფუძველზე.

მუხლი 21. მონაცემების შეგროვება

1. სემეკ-ი შეიმუშავებს მონაცემების შეგროვების ერთიან ფორმასა და წესს, რაც აუცილებელია მარეგულირებელი ფუნქციების განსახორციელებლად. ყველა ლიცენზიანტი ვალდებულია დადგენილი წესით დროულად წარუდგინოს სემეკ-ს უტყუარი მონაცემები.

2. ლიცენზიანტის მოთხოვნის შემთხვევაში სემეკ-ი უზრუნველყოფს წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობას.

თავი V. გარიფების დადგენის წესი და პროცედურები

მუხლი 22. გარიფების დადგენის პირობები და პრინციპები

1. ბუნებრივი გაზის მიწოდების, გრანსპორტირებისა და განაწილების გარიფების დადგენის წესი და პრინციპები განსაზღვრავს იმ აუცილებელ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირდაპირი მომხმარებლებისა და ლიცენზიანტების მიერ სემეკ-ში წარდგენილი განაცხადები.

2. სემეკ-ის მიერ დადგენილი გარიფები სავალდებულოა ყველა ლიცენზიანტისათვის და მომხმარებლისათვის.

3. ბუნებრივი გაზის გარიფების დასადგენად წარმოდგენილ განაცხადში მოცემული უნდა იყოს წარმომდგენის რეკვიზიტები: დასახელება, მომსახურების სახე, მისამართი, საკუთრების ფორმა, საბანკო მონაცემები (ბანკის დასახელება, მისამართი, ანგარიშის

ნომერი და კოდი), განაცხადის წარმოდგენის ხელმძღვანელის გვარი, სახელი, ტელეფონი;

მომსახურების მოსალოდნელი ხარჯების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და წლიური საბუღალტრო ბალანსი შესაბამისი დანართებით წარმოდგენილი უნდა იყოს სემეკ-ის მიერ შემუშავებული ფორმების მიხედვით.

4. საგარიფო განაცხადი უნდა იქნეს ხელმოწერილი საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, ლიცენზიანტი ვალდებულია დროულად წარადგინოს ინფორმაცია. ხელმოწერი პასუხისმგებელია წარმოდგენილი ინფორმაციის სიმუსტებზე.

მუხლი 23. ტარიფების დადგენის პროცედურა

1. სემეკ-ი ლიცენზიანტის განაცხადს განიხილავს ერთი თვის განმავლობაში და ადგენს მიიღოს განაცხადი წარმოდგენილი სახით, თუ არ ჩათვალოს იგი სრულყოფილად და დაუბრუნოს ლიცენზიანტს სათანადო შესწორებისათვის. ყველა შემთხვევაში ლიცენზიანტს ეგზავნება წერილი სათანადო შეცვობინებით.

2. საგარიფო განაცხადის მიღების შემთხვევაში სემეკ-ი აკეთებს საჯარო განცხადებას, რომელსაც შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ სუბიექტს სამუშაო საათებში გაეცნოს წარმოდგენილ მასალებს და სემეკ-ს მიაწოდოს შენიშვნები და კომენტარები არსებული წესის მიხედვით.

3. საგარიფო განაცხადზე შენიშვნები და კომენტარები უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებს და ფაქტების კონსტატაციას. შეფასება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. შენიშვნების წარმომდგენმა სუბიექტმა ასლი უნდა გაუგზავნოს განაცხადის შემომტან ლიცენზიანტსაც. ლიცენზიანტს 15 დღის ვადაში შეუძლია საპასუხო წერილით მიმართოს ოპონენტს და მოითხოვოს საჭიროების შემთხვევაში სათანადო განმარტებები.

4. სემეკ-ი მიღებულ საგარიფო განაცხადს განიხილავს 1.5თვის განმავლობაში და იღებს შემდეგ შესაძლო გადაწყვეტილებას:

ა. დააკმაყოფილოს მოთხოვნა და დაადგინოს ტარიფი;

ბ. შეაჩეროს განაცხადის განხილვა დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე.

5. ტარიფი, თუ იგი აკმაყოფილებს სემეკ-ის მოთხოვნებს, საგარიფო განაცხადის მიმართ, ძალაში შედის სემეკ-ის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საგარიფო განაცხადის შეგანიდან 150 დღისა.

6. განსაკუთრებულ შემთხვევაში სემეკ-ს განმცხადებელთან შეთანხმებით შეუძლია გააგრძელოს განაცხადის განხილვის ვადა.

7. ლიცენზიანტის საგარიფო განაცხადის განხილვის პროცედურაში მონაწილეობის უფლება აქვს განმცხადებლის წარმომადგენელს; ამის შესახებ სემეკ-ი მას 5 დღით ადრე აცხადებინებს.

8. სემეკ-ი ტარიფების შემუშავების პერიოდში იხილავს ყველა შენიშვნასა და კომენტარს, რომელიც მიღებულია ოფიციალური ინფორმაციით ან განხილვის პროცესში იქნა გაკეთებული.

9. ლიცენზიანტები ან საგარიფო განაცხადის განხილვაში მონაწილე დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სემეკ-ს და მოითხოვონ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შემდეგი მოსაზრებებით;

ა. მიღებულ გადაწყვეტილებაში შემჩნეული ფაქტებისა და მონაცემების უზუსტობის გამო;

ბ. მოქმედ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებთან გადაწყვეტილების შეუსაბამობის გამო.

10. სემეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 10 დღის ვადაში ქვეყნდება, რაც დაინტერესებულ სუბიექტებს აძლევს დადგენილ ტარიფთან გაცნობის შესაძლებლობას.

11. ლიცენზიანგს, მომხმარებელს და სხვა დაინტერესებულ პირს, კანონის თანახმად, უფლება აქვს დადგენილი წესით გაასაჩივროს სემეკ-ის გადაწყვეტილება.

მუხლი 24. ტარიფების დადგენის საფასური

1. ტარიფის დადგენის საფასური განისაზღვრება სემეკ-ის მიერ და საგარიფო განაცხადის შემგანის მიერ გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შეგანიდან 2 კვირის განმავლობაში.

2. ტარიფების დადგენაზე გაწეული ხარჯები სემეკ-ის მიერ დადგენილი ოდენობით შეიტანება ტარიფში; ტარიფის დადგენაზე გაწეული მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს საგარიფო განაცხადის შემგანი.